№ 266 დეკემბერი 18, პარასკევი 1887 დეკემბერი 18, პარასკევი № 266

ტფილისი (stamp)


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერი შაური.


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


## „ივერია“

გამოვა 1888 წელსაც იმავე პროგრამითა, როგორც აქამდე.

ვისაც სურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1888 წლისათვის, მიჰმართოს:

**ტფილისში** ა) თვითონ რედაქციას (ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.), ბ) ლ. ბ. ხიდეკელის გაზეთის სააგენტოს (გოლოვინ. პროსპექტი, გიმნაზიის პირდაპირ). გ) „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიას (სასახლის ქუჩა, სახლი დ. სარაჯიშვილისა, ეზოშივე.)

**ქუთაისში:** ვარლამ ქილაძის წიგნის მაღაზიას.

**ხონში:** ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიას.

**ბათუმში:** მ. ნათაძეს.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.


ტფილისი, 17 დეკემბერი

იმ სახელმწიფოებსაც-კი, რომელნიც ძლიერ და შეძლე სახელმწიფოებად ითვლებიან, მუდმივ თავს ადგია ეკონომიური გაჭირება. იშვიათია ისეთი სახელმწიფო, რომელსაც ვალი არა ჰქონდეს და რომლის შემოსავალი აღემატებოდეს გასავალს. ამის საბუთი თვით ევროპაა, სადაც ძლიერნი სახელმწიფონი ეკონომიურის ხელ-მოკლეობის გამო ვერ გასძღოლიან თავიანთს საჭიროებას, რადგანაც შინაური მომქმედი, მწარმოებელი ღონენი იმდენად ფრთა-შესხმულნი არ არიან, რომ სახელმწიფომ მათის შემწეობით დაიკმაყოფილოს თავისი საჭიროება. ზოგი ქვეყანა მდიდარიც არის, მაგრამ ეს სიმდიდრე ხეირიანად ვერ გამოუყენებია; ზოგს-კი იმდენი რთული საჭიროება აქვს, რომ იმისი ძალ-ღონე ვერას გზით ვერა სწვდება ამ საჭიროებას. ამიტომაც ძალიან გვიკვირს, როცა შევიტყობთ ხოლმე, რომ ამა-და-ამ სახელმწიფოში შემოსავალი გასავალზე მეტია და სახელმწიფომ არ იცის, როგორ გამოიყენოს მეტი სიმდიდრე. იქნება იფიქრონ, რომ მეტს სიმდიდრეს რად უნდა უჩიოდეს ვინმეო, მაგრამ საქმეც ის არის, რომ მეტი და გამოუყენებელი სიმდიდრე ისევე მავნებელია, როგორც გარდამეტებული სიმსუქნე და სისხლის სიჭარბე.

ამ გვარი სისხლ-მოჭარბებული სახელმწიფო ამერიკის შეერთებული შტატებია; ამ სახელმწიფომ არ იცის რა უყოს ფულს, რომელიც სახელმწიფო ხაზინაში მოგროვილია. 1885-ს წელს შემოსავალი აღემატებოდა გასავალს ოთხმოც-და-ათ მილლიონ ფრანკით; 1886-ს წელს ივნისის თვეში—ორას ორმოც-და-ხუთ მილლიონ ფრანკით; 1887-ს წლის ივნისში—ორას სამოც-და-თხუთმეტის მილლიონით; გამოანგარიშებულია, რომ მომავალს წელს შემოსავალი გასავალზე მეტი იქნება ოთხას ორმოც-და-ათ მილლიონის ფრანკით. აი, ამდენი ფული გროვდება ხაზინაში და არ იციან რა რიგად მოიხმარონ; ფული არა სწარმოებს და ამიტომაც ხალხსა და სახელმწიფოს სარგებლობა-კი არა, არამედ დიდი ზარალი ეძლევა, და ხალხი თანდათან ღარიბდება. ამიტომაც მართებლობა და საზოგადოება მოწადინებულია სახელმწიფო ფული აწარმოვოს და ამით როგორმე ბოლო მოუღოს ამ სამწუხარო გარემოებას; რესპუბლიკელის დასის წარმომადგენელს ბლეინს და პრეზიდენტს კლივლენდს თავ-თავიანთი პროგრამა შეუდგენიათ ამ გარემოების მოსასპობლად. ბლეინის აზრით, საჭიროა მოსპონ ბაჟი თამბაქოზე და იმ გარდამეტებულის ფულით გაამაგრონ ატლანტის ოკეანეს ნაპირები. აქციზის გაუქმება შეიძლება,—მეტი არ იქნება, რადგანაც იმის საშუალებით მცხოვრებლებს შეღავათი უნდა მიეცეს, მაგრამ ატლანტის ოკეანეს ნაპირების გამაგრება-კი სრულიად საჭირო არ არის, რადგანაც ამერიკას არსაიდგან არავითარი შიში არ მოელის. ამის გამო ბლეინის აზრი მაინცა-და-მაინც არ მოსწონებიათ ამერიკაში. უფრო შესანიშნავია კლივლენდის პროგრამა. კლივლენდის აზრით, საჭიროა პროტექციონულის სისტემის გაუქმება, რადგანაც ამერიკა იმდენად ძლიერია ვაჭრობით, წარმოებით, მრეწველობით და მკვიდრთა მხნეობით, რომ მფარველობას არ საჭიროებს; დღეს პროტექციონული სისტემა სრულიად მეტია და ტვირთად აწევს ღარიბსა და საშუალო შეძლების ხალხს. სატამოჟნო ბაჟი შეერთებულს შტატებს აძლევს წელიწადში ცხრა ასი ათას მილლიონს ფრანკს და ეს ფული სრულიად მეტია ხაზინისათვის. ხაზინა დიდის შრომითა და მეცადინეობით აგროვებს ამდენს ფულს და მოხმარება-კი იმისი სახელმწიფოსა და ერის სასარგებლოდ ვერ მოუხერხებია.

ამ პროექტმა ძალიან შეაფუცხუნა ამერიკელი კაპიტალისტები, რომელთათვისაც მეტად სასარგებლოა პროტექციონული სისტემა; იმათ არ უნდათ დაუთმონ თავიანთი ინტერესები მკვიდრთა უმრავლესობას. ეს უკანასკნელი გარემოება დიდად დააბრკოლებს კლივლენდის პროგრამის განხორციელებას, რადგანაც კაპიტალისტების დასი ამერიკაში მეტად ძლიერი და გავლენიანია.

## ახალი ამბავი

*** მთავარ-მართებელი კავკასიისა, გენერალ-ადიუტანტი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი, სამსახურის საქმეებისა გამო, მიდის პეტერბურგში, როგორც გაზ. „Кавказъ“-ს შეუტყვია, მისი ბრწყინვალება გავა ტფილისიდამ პეტერბურგისაკენ მომავალის წლის 3 იანვარსა.

*** თავ-მჯდომარე ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოებისა, ქ-ნი ევდოკია ბორისის ასული შერემეტიევისა, აცხადებს, რომ დეკემბერში გაიმართება ცეკვა-თამაშობის საღამო და ლატარია-ალეგრი საქველ-მოქმედო აზრითა და სთხოვს ყველას, ვინც მოიწადინებს დაეხმაროს ამ კეთილ საქმეს, შესწირონ ნივთები ლატარიაში ჩასაგდებად. შეწირული ნივთი უნდა გაიგზავნოს ქ-ნ შერემეტიევის სახელობაზედ, საკუთარს სადგურში.

*** ბერლინში, როგორც გაზეთები იუწყებიან, შემდგარა ახალი საზოგადოება აღმოსავლეთის ქვეყნების შესასწავლელად. ბერლინში ეხლა უკვე სემინარიაც დაუარსებიათ ამ აზრითა.

*** ერთმა ახალ-სოფლელმა გლეხმა ვერაზე ჩამოიტანა გასაყიდად ნახშირი „დროგით“, რომელშიაც ება ორი ცხენი. გაყიდვის შემდეგ გააჩერა დროგი ერთ დუქნის წინა. „დროგზე“ ტომრები ელაგა. ცხენებს საჭმელი მისცა და თვითონაც დუქანში შევიდა პურის საჭმელად. დაინახა თუ არა ერთმა კინტომ, რომ სოფლელი დუქნისკენ გაემგზავრა, მყისვე შეხტა დროგზე და საითკენღაც გაუტია ჭენებით.

დეედევნა გლეხიც თავ-ქუდ მოგლეჯილი, მაგრამ თავის ცხენებს აქამდისაც ვერ მოსწევია.

# ფელეტონი

## მორიგი ჯარის მოკრება სურამში

სურამის მთელი საბოქაულო, რომელიც შეადგენს ოც-და-ცხრა სამამასახლისოს, ამ თვეის ოთხს დაბარებული იყო დ. სურამს მორიგის ჯარის-კაცების ამოსარჩევად. ამ დღეს, დილის რვა საათზე, ფანჯრიდგან ვიყურებოდი და თვალს ვადევნებდი გამვლელსა და გამომვლელსა; ვიცოდი წინდაწინ, რომ დღეს დაბარებული, მოწვეული საჯარო ხალხი მოვიდოდა სურამს სხვა-და-სხვა სოფლებიდგან. ენახოთ, შემომესმა ჩრდილოეთის მხრიდამ რაღაც გაურკვეველი ხმა. ხუთის წუთის შემდეგ გამოჩნდა ჯგუფ-ჯგუფად მომავალი ხალხი. ეს მორიგის ჯარის ხალხი იყო; იმ წამსვე გამოვარდი გარედ საყურებლად. საჯაროდ მოწვეულს ხალხს უკან მოზდევდნენ დედები, მამები, დები და ძმები; ამათ თან მოჰქონდათ საგძლით სავსე ხურჯინები. ხალხი მღეროდა და ისე მოდიოდა. სხვათა შორის შემომესმა შემდეგი ლექსი:

დადი ხნის გაყაკაცი გ
დაკვარგი ოქროს მანანი:
ჩემს დღეში ამას გინატრი:
კაცა ვერ გიცან, ვინ არი.

ამ ლექსით გამშორდა მომღერალი რიგი საჯარო ხალხისა და სურამის ხიდს ზემოდ შეუერთდა იმ ჯგუფ მორიგის ჯარის ხალხისას, რომელიც აღმოსავლეთის მხრიდამ მოდიოდა ჩუმადა და წყნარად; ესენი შეერივნენ ერთმანერთსა და გასწიეს იმ სახლისაკენ, სადაც კენჭის ყრა უნდა ყოფილიყო. ამათგანმა ხუთმა ბიჭმა დაიწყო სიმღერა. ერთი ამ ხუთთაგანი ლამაზი ვაჟკაცი იყო და სწორედ მოსაწონის კილოთი მღეროდა:

ნეტავი, გოგო, შენი ხმა
ავადმყოფს გამაგონაო;
ტუჩი ტუჩს დამადებინა,
მუძუებს დამაკონაო...

იჰ, რა მშვენიერებაა-მეთქი, გავიფიქრე გულში და იმ წამსვე მომაგონდა ის ხიდისთაველი კაცი, რომელსაც ამას წინად, ხუთშაბათს საღამოზე, ჯვარი დაეწერა და მერე, მეორე დღეს, პარასკევს დილაზედ-კი ქ. გორს გასულიყო კენჭის ამოსაღებად. ამ კაცს კენჭი არა რგებოდა და დაუყოვნებლივ გაქცეულიყო ხიდისთავს, ცოლთან, რომელსაც ეთქვა ქმრისათვის: ჯერ წადი და იმსახურე და ცოლ-ქმრებად, როცა დაბრუნდები, მაშინ ვიყვნეთო.

სანამ დილის თერთმეტი საათი შესრულდებოდა, სურამი მთლად გაივსო და გაიტენ-გაიჭუჭნა სოფლებიდამ მოსულის ხალხითა, რომელშიაც ერია: ქართველობა, ოსობა, სომხობა და ურიობა. სურამის ქუჩებიც, რომლებსაც ეს ორი დღეა რაც ელირსათ ფარნებით განათება, დაეგვანა ტფილისის პროსპექტსა, სადაც, როცა-კი კარგი ამინდი და დარი დგას, ბუზივით ირევა სხვა-და-სხვა წოდებისა და ღირსების ხალხი. დღეს აქაც ესეა სწორედ. ზოგნი მხიარულობენ, დროს ატარებენ და ზოგნიც დაღონებულან და ბაასობენ.

შემდეგ წავედი იმ სახლისკენ, სადაც ხალხი იკრიბებოდა და გროვდებოდა. ამ სახლში სურამის სასამართლოა გამართული. სასამართლოს სიახლოვეს, ერთის დუქნის წინ, ოთხს ახალგაზდა ვაჟკაცს სუფრა გაეშალათ, წითელის ღვინის სმით დროს ატარებდნენ და მღეროდნენ:

მოდი, ბიჭო, მოვკლათ მტერი,
მივაყაროთ ქვა და მტვერი;
თოფ-იარაღი წავართვათ,
ამით მოვიმართოთ ხელი...

მზე ჩავიდა. დღე თან-და-თან ბნელდება. ხალხიც ქუჩებს შორდება და იკრიბება დუქნებსა და სახლებში. აი კიდევაც დაღამდა და გაისმა დუქნებსა და სახლებში სიმღერა, ზურნა-დაფის კვრა და ჭიანურისა... შუაღამეა, ყველა მიყუჩებულია და სძინავს. ვინ იცის, ვინ რა სიზმარსა ნახავდა ძილში...

დაგვიდგა ხუთი დეკემბერი. ცა მოწმენდილია. მზემ ამოაშუქა და თავის ტკბილის სხივებით ქაფურივით გააქრო რთვილი, რომელიც თეთრად დასდებოდა სახლების სახურავებსა; გააშრო აგრეთვე საჩქაროდ რთვილისაგან დასველებული ადგილები და მოჰფინა ქვეყანას ნათელი. ბრწყინვალე მზემ ცივი ჰაერიც ტკბილად შესცვალა და სწორედ ამ დროს მიმალულ-მიყუჩებული ხალხი გამოვიდა გარედ.

ეს დღე ყველამ სიხარულითა, სიმღერითა და თამაშობით გაატარა. ამ ორის დღის განმავლობაში კრებამ, რომლის თავ-მჯდომარედ იყო მაზრის წინამძღოლი, ბ-ნი ი. დ. სულხანოვი, მოსულ საჯარო ხალხიდგან ამოარჩია კარგი და ყოჩაღი ბიჭები, რიცხვით ოთხას ოთხმოც-და-ოთხი. ამორჩევის შემდეგ მ. ი. ბებიევის მიერ გარდახდილ იქმნა პარაკლისი და ლოცვა საყოველთაოდ. როდესაც პარაკლისი გათავდა, ი. დ. სულხანოვმა დაითხოვა ხალხი და უბრძანა: საღამოს ხუთს საათზე ისევ მოდით კენჭის ამოსაღებადაო. დაღამდა კარგად და ხუთი საათიც შესრულდა. მაზრის წინამძღოლიც თავის კრებითურთ მოვიდა. ამათ ყველამ დაიწყეს ბილეთების კეთება და მზადება. მოამზადეს რა ოთხას ოთხმოც-და-ოთხი ბილეთი, ბ-ნმა სულხანოვმა მიჰმართა ხალხსა და უთხრა ამოერჩიათ აზნაურობას და გლეხობას თითო-თითო კაცი ბილეთების შესამოწმებლად. გლეხებმა აირჩიეს ერთი ვილაც მამასახლისი, აზნაურობამ-კი ბ-ნი ლ. ქ. ყიფიანი.

გათავდა რა ბილეთების შემოწმება, დაატრიალეს ყუთი და ბილეთები აირივნენ ერთმანერთში. კენჭი ამოიღო წინად აზნაურობამ და შემდეგ გლეხობაც მოჰყვა. კენჭის ამოღება გათავდა მეორე დღეს, ექვს დეკემბერს, საღამოს შვიდს საათზე. ოთხას ოთხმოც-და-ოთხის საჯარო კაციდამ ამორჩეულ იქმნა ოც-და-შვიდი, ამათ შორის ერთი აზნაური. გუშინ, ორშაბათს, ამორჩეულის ხალხის ტანთმთელობა გასინჯეს და შეამოწმეს; ერთი ავადმყოფი გამოდგა და იმის მაგივრად სხვა იქმნა გაყვანილი. ამორჩეულს ჯარის-კაცებს სიმაღლე(

*** ნავთლუღში, მტკვრის მაღალ ნაპირზე, არის აშენებული ოცამდის ფიცრული—ფანჩატური და აი ეს არის ქალაქის საყასბო, რომელმაც ამას წინად ადგილობრივი გაზეთები ააყაყანა. ზემოხსენებულ რიცხვიდამ 18 ფანჩატური ეკუთვნის კერძო კაცებს და ორი-თთვით ქალაქს. ამ ორს ფანჩატურში ჰხოცავენ საქონელს ისინი, ვისაც საკუთარი ფანჩატური არა აქვს, და იხდიან ქალაქის სასარგებლოდ დანიშნულს გარდასახადს: ცხვარზე 8 კაპ. და დიდრონ საქონელზე 60 კაპ.

ამ საყასბოების ზედამხედველად ქალაქსა ჰყავს დანიშნული აგენტი თანაშემწეითურთ, ფერშალი და პოლიციელნი. კერძო კაცთა ფანჩატურები თითქმის სულ ერთ ნაირია: პატარ-პატარა ვიწრო გეჯებია მიწაში ჩაფლული, ამ გეჯების პირთან ჰხოცავენ საკლავს, სისხლი გეჯაში ჩადის და გროვდება. შემდეგ, როდესაც საკლავის ხოცვას ათავებენ, ვითომ-და ამ სისხლს იღებენ „ვედრებით“ და ღვრიან იქვე ფლატოში. ზოგს გეჯებს-კი ღარები აქვს და დაკვლისათანავე სისხლი მიდის იმავ ფლატოში. მე მივედიო, გვწერს ჩვენი მოამბე, იმ დროს, როდესაც თითქმის ყველას მილაგ-მოლაგებული ჰქონდა თავისი ქარხანა, მაგრამ, გეჯებით სისხლი და შიგნეულის დაცლილი ყუველი სისაძაგლე-კი არ დაეგავათ,—ალბად აჭმევენ ლორებს, რომლებიც შიგ, ქარხნებშივე, ჰყავთ დამწყვდეული. ფანჩატურებში ფიცარი არ არის დაგებული და ამისათვის ისეთივე ტლაპო დგას, როგორც აქაურ ქუჩებში წვიმის დროს. კედლები მოსვრილია ზედ შემხმარის და ახლად შესხმულის სისხლით, ტალახით და ყოველ უწმინდურობით; წუმპეში გატყავებულს საკლავს მოთხუპნულ კედლებზე ჰკიდებენ იმისთანა ჩანგლებით, რომ მათი დანახვა კაცს შეჰზარავს.

შემდეგ შევედი ქალაქის ორს ფანჩატურში, სწორედ იმ დროს, როდესაც მოსამსახურემ გაათავა დასუფთავება და გამოვიდა ცოცხით ხელში. აქ ვნახე სწორედ იგივე სურათი, რაც სხვებში. განსხვავება მარტო იმაში იყო, რომ აქ გეჯების წინ ნახევარ არშინის სიგანე ფიცარი არის დადებული, ფიცრის ბოლოებზე სამი გოჯის სისქე ტალახი აძევს და შუა ნაწილი-კი სისხლს ჩაურევცხია. ბიჭი გაუშვებს სისხლს, ფიჩხის ცოცხით ჩაჰგვის და ამითი ათავებს თავის მზრუნველობას მისდამი მინდობილ ფიცრულებზე.

ყველა ეს ზემოთქმული რომ წარმოიდგინოს კაცმა, მიხვდება, რა საზიზღარს მდგომარეობაშია საყასბოები, რა ჰაერის მომწამვლელს სუნს ავრცელებს და ან რა ხორცს გვაჭმევენ ფანჩატურის პატრონები. მაგრამ თუ ამასთანავე შეიტყობთ, რა გატურტლულ იარაღით ჰხოცვენ ან რა ტანისამოსი აცვიათ და რა ხელებს ჰკიდებენ დაკლულს, მაშინ ხომ ქალაქში არ მოინახება ბევრი კაცი, რომელიც სრულიად უარს არ იტყოდეს ამათის ხელიდამ აღებულ ხორცის ჭამაზე...

წარმოიდგინეთ, რომ ამდენი სიბინძურე ჩადის ფლატოში, რომელსაც მტკვარი სრულიადაც ვერ უდგება, და აქ დგას ისეთი შესაზიზღარი მორევი, რომ თუ შიგ ვინმე ჩავარდა, იმისი იქიდამ ამოყვანა შეუძლებელი-ღა იქნება.

ნავთლუღელები ჩივიან, რომ ამ საყასბოებმა დაგვასნეულა და ვერა გვილონია-რა, რომ ჩვენს საძაგელს ყოფას ვუშველოთ როგორმეო.

## ქართული თეატრი

„გაყრა“, კომ. 4 მოქმედებად თ. გ. ერისთავისა; „საძაგელი“, ვოდ. 2 მოქმედებად თ. დ. ერისთავის გადმოკეთებული.

ველირსეთ ქართულ წარმოდგენების დაწყებასაცა. გუშინწინ, 16 დეკემბერს, პირველი წარმოდგენა გამართა დრამატიულ საზოგადოების მიერ დაარსებულმა სათეატრო დასმა. დიდხანს-კი მოგვინდა ლოდინი და, ვინ არ იცის, რომ ლოდინი ძნელია. ამ ლოდინმა უფრო ძრიელ მოგვამშია, მოგვაწყურა ქართულის თეატრის ნახვა. ან-კი რა საკვირველია, წელიწადი შესრულდა თითქმის, რაც ქართული წარმოდგენა აღარ გვინახავს, ჩვენის ხელოვანის არტისტების თამაშობით აღარ დავმტკბარვართ, ერთად თავი აღარ მოგვიყრია მრავლად, ქალით კაცამდე, დიდიდამ პატარამდე.

დიდის ხნის ლოდინის შემდეგ კვლავ ერთად თავი მოიყარა ქართველმა საზოგადოებამ, თუმცა ავსებით-კი ვერ აავსო საკმაოდ დიდი დარბაზი ახალის თეატრისა. მაინც სასიამოვნო იყო, რომ ამ თეატრმა მოგვაგროვა კვლავ ერთად, რომ ქართულმა ჩოხამ, ყურთ-მაჯიანმა კაბამ, ლეჩაქმა და თავ-საკრავმა კვლავ თათავის თავივი საჯაროდ დაგვანახვა და ამ სახით ქართველი საზოგადოება ერთად შეიკრიბა წარმოდგენის სანახავად, სამუსაიფოდ, სალაღობოდ, სამასლაათოდ.

ყოველივე ეს სასიამოვნო იყო, მაგრამ ის-კი სასიამოვნო არ იყო, რომ წარმოდგენამ საკმაოდ ვერ დაატკბო, ვერ მოუგო, ვერ მოჰფხანა გული საზოგადოებას. მიზეზი უფრო ის იყო, რომ დრამატიულმა საზოგადოებამ ისეთი პიესა აირჩია წარმოსადგენად, როგორიც არის „გაყრა“ თ. გ. ერისთავისა. ეს პიესა პირველი პიესაა, ქართულს ენაზე დაწერილი; პირველადაც ეს პიესა იყო წარმოდგენილი ამ ორმოციოდე წლის წინად. მაშასადამე, არ უნდა ყოფილიყო ურიგო, რომ გუშინაც, როცა ახალი თეატრი აშენდა და განახლებულმა თეატრმა მოქმედება დაიწყო, ამ პიესის წარმოდგენითვე დაწყებულიყო ქართული წარმოდგენები, სათეატრო სეზონი; მაგრამ მეორეს მხრივ დრამატიულს კომიტეტს უნდა კარგად აეწონა თავის დასის ძალაცა და, თუ დასი შესწვდებოდა ამ ძველის-ძველის პიესის თამაშობას, მხოლოდ მაშინ გაებედნა იმისი წარმოდგენა სეზონის დაწყებისათანავე. ჩვენს საზოგადოებას ბევრჯელ უნახავს „გაყრა“, ბევრმა ზეპირადაც იცის, ბევრს ახსოვს ცხოველი მისი ტიპები, შექმნილი ძველ ქართველ ხელოვან არტისტების მიერ. ამიტომ, თუ „გაყრას“ წარმოდგენა აუცილებელი იყო მაინცა და მაინც, უსათუოდ სანაქებოდ, საგანგებოდ უნდა წარმოდგენილიყო, როგორც ძველებური, როგორც პირველიქართული პიესა. ისე წარმოდგენა-კი ამ პიესისა, როგორც გუშინ წინ იქმნა წარმოდგენილი, სწორედ ცოდვაა. ამისთანა პიესების წარმოდგენას დიდი სიფრთხილე უნდა, დიდი გამოცდილება, დიდი თვალ-ყურის გდება, რომ ყოველივე კერძო, ყოველივე წვლილი, ნაკვთი საგანგებოდ შესრულდეს, სანაქებოდ წარმოსდგეს. ასეა ყველგან და ასე უნდა იყოს ჩვენშიაც, თუ გვინდა, რომ დავამტკიცოთ მართლა პატივის-ცემა წარსულის მიმართ, თაყვანის-ცემა ჩვენთა ძველთა, ჩვენთა წინაპართა მოქმედებისა და მოღვაწეობისა.

გუშინწინ-კი რა ვნახეთ? „გაყრაში“ ორი-სამი სულ ახალი, სცენის შეუჩვეველი, მიხვრა-მოხვრის უცოდნელი მოთამაშე წარმოგვიდგა თვალ-წინ, ისეთი მოთამაშე, რომელნიც არას გზით ასეთს პიესაში არ უნდა გამოსულიყვნენ. ვინ გაიგონა, რომ სეზონის დაწყებისათანავე, ამისთანა ყოვლად ცნობილის პიესის წარმოსადგენად, ნიჭის საცდელად გამოდიოდნენ სრულიად ხამი მოთამაშენი. აფსუსი არ იყო განა, რომ პავლეს როლის ასრულება, ამ საუკეთესო ტიპის გამოხატვა, მინდობილი ჰქონდა ისეთს მოთამაშეს, რომელმაც არც სიარული იცოდა სცენაზე, არც მიხვრა-მოხვრა ჰქონდა; „ვაი არა აქვს შენს პავლესაო“, ერთის საათის უკან ამბობდა ბ-ნი ზურაბოვი, იმის მაგიერ, რომ მაშინვე ზედ დეეყოლებინა თავის სათქმელისათვის. ამას გარდა პავლე სახლში ხმალ-ჩამოკიდებული იყო ერთ-თავად. სახლში ხმლით ყოფნა ზრდილის თავადიშვილისა, მერე უწინდელს დროში, ვინ გაიგონა. ან ყურთმაჯების შეყრა დედაკაცის წინაშე რა ზრდილობაა. ასევე უხერხულად, უშნოდ, ხამურად ასრულებდა ივანეს როლს ბ-ნი ოქონელი, რომელმაც სცენა ზე ბოლთის ცემით ილაჯი გასწყვიტა და ჯოხის ქნევით ხომ კინაღამ თვალები დასთხარა ყველას. სასამართლოს სეკრეტრის როლი-კი რიგიანად შეასრულა ახალმა მოთამაშემ, ბ-ნმა ხუციშვილმა. ხუციშვილს სასცენო ნიჭი ეტყობა და, როგორც გუშინდელის თამაშობიდამ აღმოჩნდა, ცოტაოდენი სასცენო გამოცდილებაცა ჰქონია. არ უნდა გამოსულიყო ბარამ მოურავის როლში აგრეთვე ბ-ნი კანდელაკი, რომელსაც ისე ცხადად ეტყობოდა გამოუცდელობა. გვიკვირს, როგორ არავინ უთხრა ერთხელ მაინც ამ ახალს მოთამაშეს, რომ ბატონთან ისეთი კადნიერი ქცევა, როგორც ის იქცეოდა, მოურავისაგან არ ეგების, შეუწყნარებელია. ბ-ნი კანდელაკი იცინოდა, იცინოდა და ანდუყაფარს ცხვირ-წინ-კი გამოეჭიმებოდა ხოლმე.

„გაყრა“ უფრო სცენებია, საკმაოდ ცხოველად, სინამდვილით ამოღებული ჩვენის წარსულის და არა დღევანდელის ცხოვრებიდამ. და, ერთი მიბრძანეთ, ღვთის გულისათვის, ასეთის პიესის წარმოდგენაში თუ გამოცდილი, ყოვლად დახელოვნებული და ოქროსავით გამობრძმედებული არტისტები არ არიან, რაღა სასიამოვნო იქნება მისი ნახვა საზოგადოებისათვის?! ჰამლეტის წარმოდგენა იშვიათად გაფუჭდებაო, ამბობენ, იმიტომ-რომ თვით პიესას ათასი მაღალი ღირსება აქვს. არტისტი სულაც რომ გამოუცდელი იყოს, ხელოვნება ავტორისა დაგატყვევებს, დაგატკბობს. „გაყრა“-კი, თუ გარეგნობით არ არის კარგად მოწყობილი, თუ არტისტები გამოცდილნი და დახელოვნებულნი არ არიან, გააუგემურებს, შეჰქცევის და გართობის მოლოდინსა.

კიდევ კარგი, რომ ორიდე ისეთი არტისტი გაერია „გაყრას“ წარმოდგენაში, რომელთაც გადაარჩინეს ეს ძველის-ძველი, დამსახურებული პიესა სირცხვილსა.

ვოდევილმა „საძაგელი“ მშვენივრად ჩაიარა; საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ვ. აბაშიძე ძალიან კარგნი

---

უზომეს და შეუმოწმეს. მომეტებული ნაწილი სიმაღლით მოდიოდა ორი არშინი და ხუთი გოჯი. როდესაც ყველაფერს მორჩნენ, ამორჩეული ოცდა-შვიდი ჯარის-კაცი გაამწკრივეს ორ რიგად. აი სწორედ ამ დროს წამოდგა ერთი სოფლელი დედაკაცი, მიმართა ჩარიგებულს „სალდათებს“, რომლების რიცხვში იმის შვილიც ერია და უთხრა შვილს შემდეგი: „აბა, შვილო, ყოჩაღად და ერთგულად მოიქეცი; ხელმწიფე გიყვარდეს და იმის სამსახური; რაც გასწავლონ, კარგად ისწავლე; ადგილისა და სახლის ჯავრი ნუ გექნება; ისე შეგინახავ ადგილსაცა და სახლსაც, როგორც შენ გინდა; მშვიდობით, მშიდობით, საყვარელო შვილოვო!“ და კიდევაც მოშორდა შვილსა...

ამ დედაკაცის ასეთმა სიტყვამ მიიქცია ყურადღება წინამძღოლისა, რომელმაც აჩუქა დედაკაცს სამი მანეთი.

ამორჩეულ ჯარის-კაცების ტანთმთელობის და იმათის სიმაღლის შემოწმება მოხდა ისაკა ასატუროვის სასტუმროში. გამოვიდა რა ზემოხსენებული ყოჩაღი და გულ-მაგარი დედაკაცი, სასტუმრო ერთბაშად დაიცალა ხალხისაგან. სასტუმროდამ გამოვიდა ხალხი მოგროვდა პატარა მოედანზედ, რომელიც მდებარეობს ხსენებულ სასტუმროსა და სურამის აფთიაქის შუა. აი ამ მოედანზედ დააყენეს ორ რიგად ამორჩეული ჯარის-კაცები; აქავე მოგროვდა მრავალი ხალხიც. მღვდელმა ბებიევმა პარაკლისი ხელ-მეორედ გადაიხადა საყოველთაოდ და დააფიცა რა ოც-და-შვიდი კაცი, შესაფერი სიტყვაც წარმოსთქვა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვეს ბ-ნმა მაზრის წინამძღოლმა, თავადმა გენერალ-მაიორმა დ. გ. ვეზირიშვილმა, მღვდელმა ი. ციცქიშვილმა და სურამის სკოლის მასწავლებელმა, ა. მ. ციმაკურიძემ. ადგილის უქონლობის გამო მოგვყავს სიტყვა დ. გ. ვეზირიშვილისა და ი. დ. სულხანიშვილისა და ისიც დაახლოვებით. ბ-ნმა ვეზირიშვილმა სხვათა შორის თქვა: „მოწყალე ხელმწიფე იმპერატორმა ინება პირველად ჯარის-კაცის გაყვანა ჩვენის საქართველოდგანაც. რასაკვირველია, ამ ამბავმა დიდად ასიამოვნა ჩვენს საყვარელს საქართველოს ერსა და ეხლა დაგვიდგა დრო და ჟამი, ჩვენი ძველებური შნო და ვაჟკაცობა მოვაგონოთ ჩვენის ქვეყნისა და სახელმწიფოს მტრებსა. უეჭველია გაგონილი გაქვთ, რა იყო ძველად ეს პატარა საქართველო! ამას ირგვლივ ეხვივნენ ურჯულონი, ძლიერნი ერნი, ოსმალი, ყიზილბაში და ლეკი, რომლებსაც მრავალჯერ აუოხრებიათ ეს ჩვენი ძვირფასი და მშვენიერი სამშობლო, მაგრამ ჩვენთა წინაპართა მხნეობა და ვაჟკაცობა ისეთი ძლიერი ყოფილა, რომ მძვინვარე მტერთა ვერ გადააგვარეს და ვერ გადაარჯულეს ეს ბრწყინვალე საქართველო. ეხლა, ყმაწვილნო ჯარის-კაცნო, გვექნება იმედი, რომ თქვენის კარგის მხნეობითა და ვაჟკაცობითა გაახარებთ ჩვენს ხელმწიფე იმპერატორს და მთელს საქართველოსაც. ღმერთსა ვთხოვ, დღევანდელი თქვენი ჯარის-კაცად გასვლა იყოს ღვთისაგან დალოცვილი უკუნით უკუნისამდე!“ ხალხმა არ დააცალა უკანასკნელის ფრაზის წარმოთქმა და „ურა“ დასძახა.

ბ-ნმა მაზრის წინამძღოლმა თქვა: „მალე შესრულდება თითქმის ერთი საუკუნე, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. ამ ხნის განმავლობაში ახალი წეს-წყობილება რუსეთში შემოღებული საქართველოზედაც ვრცელდებოდა ხოლმე, მაგრამ დღემდის ჩვენს ქვეყანას ვალად არ ედვა იარაღით მამულის დაცვა. ეს გარემოება მეტად საწყენი იყო ჩვენთვის, რადგანაც ჩვენ არ ვიღებდით მონაწილეობას იმაში, რაც ჩვენის ერის სახელსა და დიდებას შეადგენდა. საქართველო კაცობრიობის ისტორიაში იშვიათს მაგალითს წარმოადგენს იმ დაუღალავის და თავ-განწირულის ბრძოლისას, რომელიც ჩვენმა ერმა გამოიჩინა მამულისათვის. ის ხმალი, რომელსაც ზედ შემოელეწნენ მრავალნი სახელმწიფონი, ბრძოლით დაქანცულმა საქართველომ რუსეთის დიდს იმპერატორს მიართვა და მიანდო თავისი ბედიც. მისის უდიდებულესობის ნება-ყოფლობაზედ იყო დამოკიდებული დაებრუნებინა ჩვენთვის ჩვენის მამა-პაპის ხმალი და გაეხადნა საქართველო მონაწილედ იმ სამღვთო საქმისა, რომელსაც მამულის დაცვა ჰქვიან! დღევანდელს დღეს რუსეთის დიდებულმა იმპერატორმა დაგვიბრუნა ის ხმალი, რომელიც ჩვენმა მამა-პაპამ მისის უდიდებულესობის ფეხქვეშ დასდო. ქართველობამ დააფასა ეს წყალობა ღირსეულად და ახალგაზრდობა სიხარულით ისწრაფის შეიმოსოს მხედრის წმინდა სახელით. ხომ იცით, მეომრობა ახალი არ არის ჩვენთვის, ყველა ქართველი დაბადებითვე მეომარია. წადით, ძმებო, და სიხარულით ამოუდექით იმ ბაირაღს, რომლის ქვეშე, სრული იმედია, სახელსა და დიდებას მოიპოვებთ. თქვენ მიგაქვთ თან ჩვენი ლოცვა; წინ გიძღოდეთ ვახტანგ გორგასლანისა, დავით აღმაშენებლისა, დიდის თამარის და საოცარის მეომრის, პატარა კახად წოდებულის, ერეკლეს ხმალი და სახელი. ჩვენი უკანასკნელი ნატვრა და სურვილი ეს არის: ადიდეთ თქვენის სამშობლოს სახელი, არ გაამტყუნოთ ის ნდობა, რომელიც ყოვლად მოწყალე იმპერატორმა კეთილ ინება და მოჰფინა თქვენზედ; არ შეარცხვინოთ სახელი, რომელიც ჩვენს მამა-პაპათ მოუპოვებიათ ბრძოლის ველზედ; პირველნი შედით ომის ცეცხლში და უკანასკნელნი გამოდით. იცოდეთ, რომ საუკუნოდ შერცხვენილი იქნება ის, ვინც მტერს ზურგს უჩვენებს“. ამ სიტყვამ აღტაცებასა და გრძნობაზედ მოიყვანა მთელი საზოგადოება, რომელმაც დიდის ურას ძახილით მადლობა გადაუხადა ბ-ნს ივანე დავითის ძეს. ამ დღეს სურამელებმა სადილი გაუმართეს ამორჩეულს ჯარის-კაცებსა.

საზოგადოდ მთელს გორის მაზრაში რიგიანადა და წესიერად დასრულდა ჯარის-კაცის მოკრება. მთელს მაზრაში მოუგროვებიათ ას ორმოცდა-თორმეტი კაცი; ამ რიცხვში ორი ურიაა, ერთი ბერძენი, დანარჩენი-კი ქართველობა და სომხობაა.

საბაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

16

იყვნენ, ერთი-ერთმანერთს ეკამათებოდნენ კარგ თამაშობაში. კაცი ვერ იტყოდა, რომელი რომელსა სჯობიაო, ისე კარგად, უნაკლულოდ, მწყობრად თამაშობდნენ ეს ჩვენის თეატრის დამამშვენებელი არტისტები. იმათი მწყობრი თამაშობა არ შეშალეს ახალმა მოთამაშეებმაც.

ახალი მოთამაშე ქ-ლი არლანი საკმაოდ მოხდენით თამაშობდა ნამეტნავად ყარდაშვერდის როლსა გაყრაში. ეჭვი არ არის, რომ თუ ეს ქალი ყურადღებით მოეპყრობა არტისტის მოვალეობას, სწავლასა და მეცადინეობას არ დაიზარებს, ჩვენს სცენას ერთი ნიჭიერი ქალი კიდევ მიემატება. ურიგო არ იყო მებალე ფარსადანა. ბ-ნი ფაველენიშვილი სინამდვილით, გადაუჭარბებლად თამაშობდა იმერელ მებალის როლს. თუ კარგი არტისტობა უნდა ბ-ნს ფაველენიშვილს, ეცადოს, რომ არას დროს სინამდვილეს არ უღალატოს და გადაჭარბებასაც ჭირივით ერიდოს.

გუშაგი

## ხმა შიდა ქართლიდგან

(წერილი მესამე)

სამთავისის საზოგადოებას ეკუთვნის აგრეთვე სოფ. იგოეთი, რომელიც გაშენებულია მდ. ლეხურის მარჯვენა ნაპირზედ, სამთავისიდგან ერთ ვერსტზედ. სოფელი არ არის დიდი, სულ 35 ბინადარი მცხოვრებელი ითვლება. ჰავით, ნიადაგით, ტყეთა, მიწა-წყლით იგოეთი შემკულია. სოფელი გაშენებულია ფერდობ ადგილზედ, დასავლეთით და აღმოსავლეთით მთები აქვს აფარებული და ამიტომ ქართლის აღმოსავლეთის და დასავლეთის ქარი იგოეთს ვერას აკლებს. რადგანაც სახნავი და საბოსტნე მიწები იგოეთში ახლად არის გატეხილი და თითონ მცხოვრებლებიც პატივს ბლომად აყრიან, ამისათვის აქ ნიადაგი მეტად ღონიერია, ასე რომ აქ მრავალი სხვა-და-სხვა მარცვლოვანი მცენარე იხეირებს. იგოეთში გლეხების გარდა ცხოვრობს 12 კომლი აზნაურიშვილი—ზაალიშვილები, რომლების წინაპარს ეწოდებოდა ზაალ ტაოელი; იგი იყო მესამე ხარისხის აზნაური; ზაალ ტაოელი წაიყვანა ყეენმა და ძალად მიაღებინა მაჰმადიანობა, მხოლოდ შვილნი ზაალისა მოვიდნენ მეფე სვიმონ I-თან 1588 წ., მიიღეს მართლ-მადიდებლობა და მეფე სვიმონმაც მიიღო იგინი აზნაურებად—ზაალიშვილებად. ზაალიშვილები ძლიერ მხნე და შრომის-მოყვარე ხალხია. შიდა ქართლში ბევრნი არ არიან ამათთანა შრომის-მოყვარე აზნაურიშვილები. იგი მხნეა, ძლიერად მოყვარე თავის მიწისა. მათ არ უყვართ სხვა-და-სხვა აზნაურებივით უანგარიშო დარდიმანდობა, ქეიფი, უდრო-უდროოდ და უალაგო-ალაგას ფულების ფლანგვა. ამათი ქეიფი ჭეშმარიტი და პატიოსანი შრომა არის. აი სწორედ რომ ამ გვარმა შრომის-მოყვარეობამ გააუმჯობესა მათი ნივთიერი მდგომარეობა: ზაალიშვილები ფულიან ხალხად ითვლებიან ლეხურას ხეობაზედ. ზოგიერთი მოშრეტილი და მოქეიფე ჩვენი აზნაურები ურიგოს არ იზამდნენ, რომ შრომაში მიჰბაძავდნენ აზ. ზაალიშვილებსა და ამ გვარის საშუალებით თავიანთ დაცემულ ოჯახებს წინ წასწევდნენ.

სოფ. კასპი, როგორც მატიანე მოგვითხრობს, ქალაქად პირველად ააშენა მცხეთოსის ძმან უფლოსმა და იყო კასპი ქალაქად, ვიდრე მირვან-ყრუ მე-VII საუკუნის დასასრულს შემოერეოდა საქართველოს და აღაოხრებდა. როდესაც მან, როგორც მატიანე ამბობს, „ცეცხლითა და მახვილითა მოსრნა ტფილისი და ქართლის სხვა-და-სხვა სოფლები", აი სწორედ ამ დროს მოეღო კასპსაც ბოლო და ქალაქი გარდაიქცა უბრალო სოფლად, რომელშიაც აწ 120 კომლი მკვიდრობს. კასპი გაშენებულია მაღლობ ადგილზედ და ამიტომ ლეხურა სოფლისათვის თითქმის უსარგებლოა, მხოლოდ კასპელების ბაღებს და ვენახებს უხვად რწყავს, რადგანაც ეს უკანასკნელნი დაბლა ლეხურას ორთავ ნაპირებზედ მდებარეობენ. ლეხურა რწყავს აგრეთვე მარცხენა ნაპირზედ მდებარე სახნავ მინდვრებს. ჰავა სოფელში ცხელია, ასე რომ ქვემო-ჭალაში რომ ნახევარ არშინზედ თოვლი იყოს, ან გაუვალი ტალახი, კასპში მშრალობა არის ხოლმე. ამისი მიზეზი გახლავთ ისა, რომ კასპში ფიცხი ნიადაგია—თიხნარი-ქვიშნარი, რომელიც ძრიელ მალე იშრობს ნამს. ჩრდილოეთიდაც მთები აქვს აფარებული კასპს და ამიტომ კავკასიონის მთებიდგან წამოსული ქარი და სიცივე კასპს ვერას აკლებს. ნიადაგი საშუალოა; მხოლოდ როგორადაც ქვემო-ჭალაში და სამთავისში ჭირნახული ბლომად და კარგის თვისებისა მოდის, ისე კასპში ღვინო მოდის და კარგ ფასებშიაც იყიდება. ქვემო-ჭალური ღვინო რომ თუმნად გაიყიდოს კოკა, კასპური ღვინო გაიყიდება თხუთმეტ-თვრამეტ მანეთად. თავი და თავი მიზეზი, რომ კასპში კარგი ღვინოები დგება, ნიადაგს გარდა უფრო კიდევ ის არის, რომ აქაურებმა ვაზის ხელი კარგად იციან, თითქმის მთელ თავიანთ შრომას სულ ვენახს და ბაღებს ანდომებენ. კასპელი კაცი ძლიერ არც ბოსტნეულობის მოყვანას მისდევს. თუ სადმე თავისუფალი ადგილი ჩაიგდო ხელში, მაშინადვე ვენახად აქცევს, რადგანაც იცის, რომ ვენახიდგან უფრო ბევრს ფულს შეიძენს. კასპელები ყურძნადაც ბლომად ჰყიდიან რკინის გზის სადგურზედ, რომელიც იქვე კასპის ბოლოს მდებარეობს. კასპელ გოგო-ბიჭებს ბლომად ჩამოაქვთ ხოლმე რკინის გზის სადგურზედ ყურძენი, სხვა-და-სხვა ხილი და სანოვაგეც-კი და კარგა ფასშიაც ჰყიდიან. ამ გვარი აღებ-მიცემობა და ვაჭრობა მართლაც კარგი და დახლიანი ხელობაა.

აქ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ რკინის გზის სადგურზედ ბევრი სხვა-და-სხვა ხალხი ირევა. ახლა გაჩერდება თუ არა მატარებელი, ადის და ჩამოდის ვაგონებიდგან მრავალი ხალხი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ იმ პატარა ვაჭარ გოგო-ბიჭებს შეხვდებათ ვინმე უსინიდისო და ზნეობა დაცემული ვაჟბატონი, რომელიც ვაჭრობის დროს საბრალოებს ემასხარავება უწმაწურის სიტყვებით, ლანძღავს, აგინებს, სცემს თავში და ხშირად კიდევაც წაართმევს ხილს და მერე შევარდება ხოლმე ვაგონში. უეჭველია, ეს გარემოება ცუდად მოქმედობს ყმაწვილებზე.

სოფელში ორი ეკლესია არის; ერთი სომხისა და ერთიც ქართველებისა. დუქნებით კასპი მდიდარია. გარდა გლეხებისა, კასპში ცხოვრობს ოთხი კომლი თავადიშვილი—ამილახვრები და ოთხიოდე კომლი აზნაურშვილები—ქარუმიძეები, ძველად ახალციხის მაზრიდგან მოსულნი. ამათი შთამომავლობა 1597 წ. მოვიდა ქართლს როსტომ მეფის დროს, მიიღო მართლ-მადიდებლობა და აზნაურობა—ქარუმიძეობა. ქარუმიძეებს დღესაც საკმარისადა აქვთ მამულები.

საზოგადოდ რომ ვთქვათ, ლეხურასხეველები მხნედ-მთესველი ხალხია. მარტო ქვემო-ჭალა ერთად-ერთი სოფელია თითქმის შიდა ქართლში, სადაც ჭირნახულის გარდა, მისდევენ ბოსტნეულობის მოყვანას. ჩვენის ხალხის სიმდიდრე, ოსია თუ ქართველი, ჭირნახულში, ბოსტნეულობასა და ღვინოში მდგომარეობს. ნახნავნათესმა და ღვინომ გლეხკაცი მთელი წელიწადი უნდა გამოკვებოს, ჩააცვას და დახუროს. ესენი სხვა არა წარმოებას არ მისდევენ. ცხერისა, ღორის, ცხენის და შინაურის პირუტყვების გაშენებას, როგორადაც მაგალითად იერის-ხეობაზედ და მეტადრე ქიზიყში, აქ არ მისდევენ, რადგანაც იალალი ხელს არ უწყობს.

რაც შეეხება თითონ ხალხს,—მშვიდობიანი, ზრდილი, თავ-მდაბალი, წყნარი და ზნეობიანი ხალხია. ზრდილობიანი სიტყვა-პასუხი, წყნარი და მშვიდობიანი ლაპარაკი აქაურის გლეხებისა სწორედ რომ სასიამოვნოა. მტრობა, შფოთი და შურის-ძიება ლეხურის-ხეველებში ძლიერ იშვიათია; კაცის-კვლა, საბძლების წვა და ვაზების ჩეხვა არ იციან.

ავიღოთ ახლა სწავლა-განათლების მდგომარეობა ლეხურას ხეობაზედ. ამისთანა ყოველისფრით შემკულ ხეობას, რომელზედაც 1.400 მოსახლე ბინადრობს, ერთი სკოლა აქვს ქვემო-ჭალაში (სკოლა მეშვიდე წელიწადია რაც არსებობს). ეს სკოლა შარშანდლამდის ოთხ საზოგადოებას ეკუთვნოდა: საკორინთლოსას, ქვემო-ჭალისას, სამთავისისას და კასპისას. რადგან კასპელებისათვის ქვემო-ჭალის სკოლა შორს იყო, ამისათვის მათ მოინდომეს საკუთარის სკოლის გამართვა თვით ს. კასპში. განაჩენი შეადგინეს და დაამტკიცებინეს კიდეც, სადაც რიგი იყო, მაგრამ აშენებაზედ-კი ჯერ-ჯერობით არა ისმის-რა. აწ ქვემო-ჭალის სკოლა სამს საზოგადოებას ეკუთვნის. სკოლა ერთ კლასიანია; შეგირდები ორმოც-და-ხუთამდეა ვიწროობის გამო. გარდა მუდმივ მასწავლებლისა, სკოლას ჰყავს სამღთო რჯულის მასწავლებელი მღვდელი და ქალი მასწავლებელი, რომელიც ხელსაქმეს ასწავლის მოსწავლე პატარა ქალებს.

წელს, 26 სექტემბერს, მობძანდნენ ქვემო-ჭალაში: გუბერნატორი, ივანე გივის ძე ამილახვარი, მაზრის უფროსი და სახალხო სკოლების ზედამხედველი. დილის რვა საათზედ ამათ დაათვალიერეს სკოლა და შეგირდები. დათვალიერების შემდეგ გუბერნატორმა გადუხადა მადლობა მასწავლებელს შეგირდებითურთ და აჩუქა რამდენიმე მანეთი, მხოლოდ ივანე გივის ძე ამილახვარმა შეგირდებს გამოუგზავნა იმავე დილით თავის ბაღიდგან გოდრებით ყურძენი და სხვა-და-სხვა ხილი. ერთიცა და მეორეც კმაყოფილნი დარჩნენ. სკოლის დათვალიერების შემდეგ გუბერნატორმა მიჰმართა იქვე მდგომ ლეხურას ხეობის ხალხს, რომელიც იმისგანვე იყო დაბარებული სხვათა შორის სკოლის საქმის გამო. გუბერნატორმა ხალხს აუხსნა ის სარგებლობა, რომელსაც მისცემს სამეურნეო სკოლა ხეობას და მერე დაეკითხა: „გსურთ თუ არა ამ გვარი სკოლაო?" ხალხმა ერთხმად თანხმობა გამოუცხადა. სასკოლე ადგილი (რვა დღიური) უფასოდ დაუთმო თ. ივანე გივის ძე ამილახვარმა. ასე და ამ გვარად მერმისისათვის ლეხურას ხეობა შეიძენს ან სამეურნეო სკოლას, ან ორ კლასიანსა.

ნიკო ლ—ძე

(შემდეგი იქნება)

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები.

(შემდეგი*)

თვით სახარების პირველი სურათი რის სურათი იესო ქრისტეს შთამომავლობისა. აქ, სახარების მოთხრობისამებრ, მოყვანილია სახეები მრავალთა, რომლებიც შეადგენენ ხეს ქრისტეს შთამომავლობისას. სახეები ბუნდად ჰხატია, იმათი გარჩევა და ცნობა შეუძლებელია, გარდა აბრაამისა და ორ სხვა გვამისა. ერთი მათგანი არის დავითი და მეორე ძე მისი სოლომონი.

მეექვსე სურათზე წარმოდგენილია შობა ქრისტესი.

ამ სურათში მხატვარი არ მისდევს სახარების თხრობასა, სადა მოგვების თაყვანის ცემა-კი არა, მწყემსთა თაყვანის ცემაზეა ლაპარაკი. საზოგადოდ, ეს სურათი ქრისტეს შობისა ფრიად შესანიშნავია. აქ თხრობანი მახარებელთა შეერთებულია ზეპირ-გარდმოცემასთან.

მარკოზის სახარების დასაწყისს, ამ მახარებლის სურათის შემდეგ, გამოხატულია ნათლის-ღება იოანესი, შემდეგ ქრისტესი და სხ. სურათნი. სულ უკანასკნელი სურათი (62) ამ სახარებისა წარმოგვიდგენს იესო ქრისტეს ამაღლებას. ეს სურათი ფრიად იშვიათი რამ არისო, დასძენს პოკროვსკი. იგი გვაგონებს ჩვენ სოლუნის უძველეს მოზაიკის ამაღლების სურათებსა და საზოგადოდ წარმოგვიდგენს ერთს იშვიათს და სამაგალითო გამოხატულებას ქრისტეს ამაღლების იდეისას.

ლუკას სახარებაში, დასაწყისს, გამოხატულია სურათი ამ მახარებლისა, შემდეგ ანგელოზის მოვლენა ზაქარიასადმი, მერე ხარება და სხვ.

**ხარების სურათი.** ღვთის-მშობელი ბრძანდება ოქროს ოთხ-კუთხედს საფეხურზედ. მარცხენა ხელში უჭირავს წითელი თითისტარი. იმის ახლოს სკამაა წითელის ბალიშით და იქვე სრა. მთავარ-ანგელოზი გაზრილი სწრაფის ნაბიჯით მიდის მარიამისკენ; მარცხენა ხელში უჭირავს კვერთხი და მარჯვენათი აკურთხებს ღვთის-მშობელს. ეს სურათი შედგენილია თანახმად იმ ძველ გარდმოცემისა, რომელიც გვაუწყებს, რომ ხარების ჟამს ღვთის-მშობელი ართავდა მატყლს იერუსალიმის ტაძრის ფარდისათვისაო.

დახატულია მახარებელი იოანე—მოხუცი, თეთრად გადაპენტილი, მჯდომარე სავარძელში. ხელნი დაყრდნობილნი აქვს მუხლებზე და ფეხები ოქროს საფეხურზე. მრგვალ ტაბლაზე, იმის წინ, გამწკრივებულია საწერელი და სახაზავი ნივთები: დანა, ფარგალი და სხ. გადაშლილ სახარებაში სწერია ბერძნული სიტყვები.

დასაწყისი ამ სახარებისა „პირველითგან იყო სიტყვა..." დასურათიანებულია წმ. სამების სურათით. სამივე პირი სამებისა წარმოდგენილია ადამიანის სახით, გრაგნილით და მარჯვენათი—მაკურთხებელნი. სამნივე სხედან ერთ გვარს სკამებზე და თანასწორ სიმაღლეზე. სამთავეს აქვთ თანასწორი შუქის რგოლები. მამა ღმერთი წარმოდგენილია ღრმად მოხუცებულის კაცის სახით. ამ გვარად ქრისტეს დახატვა ჩვეულებრივი მოვლენაა. მხოლოდ მამა ღმერთსკი, თანახმად იოანესავე სახარებისა, რომელ „ღმერთი არავინ სადა იხილა", ბიზანტიის მხატვარნი წარმოადგენდნენ უჩინარ სახითა და არა კაცის სახითა. გელათის სახარებაში-კი სურათი მამა ღმერთისა თუ მხოლოობითი არ არის, ფრიად იშვიათი მაინც უნდა იყოსო. ამ გვარსავე იშვიათ მოვლენად უნდა ჩავთვალოთ აგრეთვე წმ. სულის გამოხატვა კაცის მსგავსად.

*) იხ. „ივერიის" № 266.

## წვრილი ამბები

— რომში პროფესორ ბონგის თავმჯდომარეობით შეკრებილა კომიტეტი, რომელიც იმ აზრისაა თურმე, რომ ევროპის დიდ სახელმწიფოთა შორის უთანხმოების დასამშვიდებლად საზოგადოება დაარსდესო. კომიტეტს სურს, რათა შეიკრიბოს კონფერენცია იურისტთა საერთა-შორისო მედიატორეთა სასამართლოს დასაარსებლადაო.

— წლეულს შობის დღეს პირველად, ჩვეულების წინააღმდეგ, იმუშავებს თურმე ფოსტა ინგლისისა და ირლანდიის ქალაქებში.

— პარიჟში გარდაცვლილა განთქმული საფრანგეთის არხეოლოგი და ნუმიზმატი პიერ-შარლ რობერი.

— ოსმალეთს გამოუცხადებია, რომ 1889 წ. პარიჟის მსოფლიო გამოფენაში მონაწილეობას მივიღებო.

— ინგლისის კოლონია ხონკონგში ამას წინად გაუმართავთ მავთულის რკინის გზა, რომლის გამართვა პირველი მაგალითია მთელს აზიაში. ზემოხსენებული ქალაქი მდებარეობს მეტად ციცაბო მთის ძირში; ამ მთის მწვერვალზედ ინგლისის მოვაჭრეთ თავიანთვის სახლები აუშენებიათ, რადგან ინგლისელთ ოჯახს სიამოვნება ყველაფერს ურჩევნიათ თურმე. აქამდე ჩინეთის მუშებს მიჰყავმოჰყავდათ, რადგან ეტლები მთაზედ ვერ ადიოდნენ, და ეხლა მავთულის რკინის გზა გაუმართავთ და არიან ნეტარებაში.

— ჟურნალ „Edinburg-Review"-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი ამერიკის განათლებულ ქალების თაობაზედ. ამ წერილის თანახმად ამ ჟამად ამერიკაში 48 ქალი ვექილობს თურმე. 4 ქალი ნოტარიუსის თანამდებობას ასრულებს; ქალი-ექიმები სტეგზი, კლარა გარშალი და მერი მილლერი ფილადელფიის სანიტარულ გამგეობის წევრები არიანო. განათლებულ ქალთა რიცხვს ეკუთვნის ქ-ნი ფრანკლესლიც, რომელიც გამომცემელია დიდის ხამხატვრო ჟურნალისა.

— მართალია თუ არა, რომ შიმპანზეები ერთმანერთში ლაპარაკობენ, ან ნიშნებით აგებინებენ თავის აზრსა ერთიმეორეს, როგორც ზოგიერთნი ბუნებისმეტყველნი არიან დარწმუნებულნი, მაგალითებრ, გუბერი, ბურმეისტერი და ფრანკლინი. საუბედუროდ, ამ მეცნიერთა მიერ მოყვანილი საბუთები ისე თვალსაჩინო არ არის, რომ შიმპანზეების მიერ ლაპარაკი ნამდვილად დამტკიცდეს. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ საბუთები ბევრია შეკრებილი და უკანასკნელად ჯონ ლობოკის მიერ გამოაშკარავებული საბუთები უფრო ამტკიცებს ზემოხსენებულ

ბუნების-მეტყველთა აზრსა. მე მთელი დღე თვალ-ყურს ვადევნებდი,—მოგვითხრობს ლობოკკი, როცა ჭიანჭველა სხვა-და-სხვა მწერთა კვერცხებს თავიანთ ბუდეში ეზიდებოდა. საღამო ხანზე ეს ჭიანჭველა დავიჭირე, ბოთლში ჩავსვი და მეორე დღეს დილის 6¾ საათზედ გამოვუშვი. ჭიანჭველამ კვლავ თავის საქმეს მიჰყო ხელი. ხოლო რადგან საქმე მქონდა ლონდონში და რამდენისამე საათით სხვაგან უნდა წავსულიყავ, 9 საათზედ ისევ დავიჭირე და ბოთლში ჩავსვი. საღამოს ხუთს საათზედ დავბრუნდი, გამოვუშვი ჭიანჭველა და ზედ მწერების კვერცხებზედ დავსვი. ჭიანჭველამ აქედგან მოუარა კვერცხებს, იქიდგან, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ხოლო არც ერთისათვის ხელი არ უხლია, წავიდა ბუდეში. ბუდის ზემოდგან არც ერთი ჭიანჭველა არა ჩანდა. ერთის წუთის შემდეგ ჩემი ნაცნობი ჭიანჭველა ამოვიდა, იმას ამოჰყვნენ რვანიც სხვანი და დაიწყეს კვერცხების ზიდვა. შუა გზაზედ კვლავ დავიჭირე იგივე ჭიანჭველა და მესამედ ბოთლში ჩავსვი. იმისი ამხანაგები პირველში თითქო შეშინდნენო, გაშტერებულივით დარჩნენ, ხოლო შემდეგში რაც შეეძლოთ ბუდისკენ მოჰკურცხლეს და მიიმალნენ. დილის ექვს საათზე კვლავ გავანთავისუფლე ჩემი ტყვე; ჭიანჭველამ ესლაც ხელი არ ახლო კვერცხებს, ჩავიდა ბუდეში და ცამეტი ამხანაგი ამოიყვანა. ნახევარი მანძილი რომ გაიარეს ბუდიდგან კვერცხებამდე, ჭიანჭველები შედგნენ, იმათი მეთაური, ჩემი ტყვე, თუმცა კარგად იცოდა კვერცხების გზა და, სულ ცოტა, 150-ჯერ ყოფილიყო ამ გზაზედ, აქედიქით ეცემოდა, თითქო გზა დაჰკარგვია და ახალს გზას ეძებსო. მეორე ჭიანჭველებიც იმას მისდევდნენ უკან, ეტყობოდათ, იცოდნენ რაც გადაჰხდენოდა თავს იმათ მეთაურსა და წინამძღოლს და ისე არ უნდოდათ კვერცხების წაღება, თუ არა სხვა გზით. მთელი ნახევარი საათი იყვნენ წვალებაში, ჩვეულებრივ გზაზედ გავლას ვერა ჰბედავდნენ, ხან აქეთ ეცემოდნენ, ხან იქით; ბოლოს შემებრალა, ავიყვანე მეთაური ჭიანჭველა და კვერცხებზე გადავსვი. მეორე ჭიანჭველებმაც ჩქარა იპოვნეს თავისი უფროსი და გახურდა მუშაობა. დასასრულ, ლობოკკი ამბობს: კიდევ ბევრი მაგალითები შემიძლიან მოვიყვანო იმის დასამტკიცებლად, რომ ჭიანჭველები თავიანთ აზრს აგებინებენ ერთმანერთსაო.

# დეპეშა

## 16 დეკემბერი

**პეტერბურგი.** კომისია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა თამბაქოს მონოპოლიის საქმე, დაასრულებს მუშაობას მომავალის წლის დამდეგს.

დღეს დაიწყეს გარჩევა კორნეტის ბლაგოვოსი, როტმისტრის ბუდრიავცევისა და გენერალ-ლეიტენანტის პოლევოის საქმისა. ამათ ბრალდებათ ყალბის ვექსილების შედგენა.

**ბელგრადი.** ახალის წლიდგან აქ გამოვა ახალი გაზეთი, რომელმაც უნდა იქადაგოს ყველა სერბთა შეერთებისა და დიდის სერბიის დაარსების საჭიროება.

**სოფია.** ბოლგარიის საერო კრებამ მიიღო გუშინ შემოსავლის ბიუჯეტი და დაამტკიცა ხელ-შეკრულობა ოსმალეთის ქაღალდების პატრონთა წარმომადგენლებთან აღმოსავლეთ-რუმელიის ძველის ვალის გადახდის თაობაზე. კრებამ მიანდო ბოლგარიის მმართველებს ისესხონ 50 ათასი ფრანკი რუშჩუკვარნის რკინის გზის შესასყიდლად და ვაკარელ-ცარიბროდის გზის დასასრულებლად.

## 17 დეკემბერი

**პეტერბურგი** ორშაბათს ლორდი ჩერჩილი წარსდგა ხელმწიფე იმპერატორის წინაშე.

გუშინ უწმინდეს სინოდში აკურთხეს არხიმანდრიტი ვლადიმირი ალეუტისა და ალიასკინის ეპისკოპოსად.

**ლონდონი.** გუშინ საქალაქო საბჭოში გლადსტონმა წარმოსთქვა სიტყვა. იმედიაო, სთქვა ორატორმა,—რომ მშვიდობიანობა საკმაოდ დიდხანს გასტანს და რომ ყოველ შემთხვევაში ინგლისი თავს შეიმაგრებს და საერთა-შორისო ომში არ გაერევაო.

**პეტერბურგის ბირჟა, 15-ს დეკემბერს.**

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა მან. კ. | გამყიდველისა მან. კ. | გაყიდულისა მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 16 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 182¾ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 35 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — › | — › | 276½ |
| — მეორისა | — › | — › | 249 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — ‹ |
| ტფილისის ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა | — › | — › | — › |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

მველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—ყოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

**დეკემბერი 31 დღით არის**

**18 დღე პარასკევი.** წმ. სებასტიანესი. კათოლ. მოლოდინი ყოვლად წმ. ქალწ. მარიამის დაბადებისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-16 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—39. მთვარე 17 დღისაა.

**19 დღე შაბათი** წმ. მოწ. ბონიფატესი და გრიგოლ არხიეპისკ. კათოლ. დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. წმინდა პირველ. მოწ. მეფისა სომეხთა აბგარისა. მუსულ. მე-17 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 12—3, ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—40. მთვარე 18 დღისაა.

**20 დღე კვირა.** მოწ ეგნატე ეპისკ. კათოლ. მე-4 კვირა ადვენტისა. სომეხ. ჰისნაკატი (ქორწინებათა ნება ეძლევათ). მუსულ. მე-18 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27 ჩადის 4—41. მთვარე 19 დღისაა.

**21 დღე ორშაბათი** ქალწ.-მოწ. ულიანესი. კათოლ. წმ. მოციქ. თომასი. სომეხ. წმ. აბრაამისა, ხორენისა, კოსმასი და დამიანესი. მუსულ. მე-19 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—41. მთვარე 20 დღისაა.

**22 დღე სამშაბათი.** დიდ. ქალწ.-მოწ. ანასტასიასი და ხრისოგონისა. კათოლ. 22 და 23-ს დღის ღვთის-მსახურება. სომეხ. მოწ. ასტვაწატურისა. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—42. მთვარე 21 დღისაა.

**23 დღე ოთხშაბათი.** წმ. ათთა მოწამეთა კრიტელთა: თეოდულასი და სხვათა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—43. მთვარე 22 დღისაა.

**24 დღე ხუთშაბათი.** წმ. ქალწ.-მოწ. ევგენიასი. კვირაძალი იესო ქრისტეს შობისა. კათოლ. კვირაძალი შობისა. სომეხ. წმ. დავით წინ.-მეტყვ. და წმ. იაკობ მოციქულისა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 7—27, ჩადის 4—44. მთვარე 23 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3 › |
| › 2 › | 2½ › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 › |
| › › 2— | 3½ › |
| › › 3 › | 3 |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა | 5 › |
| მე-2 ხარისხისა | 4 › |
| მე-3 — | › › |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 › |
| › 2 › | 6 › |
| სუკი | 13 › |
| ძროხის ხორცი | 7 › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | 6 › |
| › 2 › | 5 › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო სიდასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების საგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


## კერძო განცხადებანი

კავკასიის პირველი ფაბრიკა ხეზე-წასასმელ ლაქისა, საბეჭდავ ლუქისა და პოლიტურისა.

გვაქვს პატივი ვაცნობოთ ბანს ვაჭრებს და მხმარებლებს ლაქისას, ლუქისას და პოლიტურისას, რომ ჩვენს ფაბრიკას აქვს ყოველ გვარის ღირსებისა და სიკეთის საქონელი, რომელიც არც ერთის სხვა ამ გვარ ფაბრიკის საქონელს არ ჩამორჩება. ფასი ზომიერია. ფაბრიკა მუშტარს დაუყოვნებლივ აკმაყოფილებს. თუ მუშტარს შორს სადმე ვგზავნებთ საქონელი, ფაბრიკა დიდის სიფრთხილით შეახვევს ნასყიდ საქონელს გასაგზავნად თვით მეფაბრიკეს ხელ-მძღვანელობით.

დაწვრილებითი ჩვენის საქონლის შესახები ცნობანი მოხსენებულია პრეისკურანტში, რომელიც უსასყიდლოდ ურიგდება და ვგზავნებთ მსურველთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებელის მუშტრის სურვილს ფაბრიკა დაუყოვნებლივ და დიდის გულ-მოდგინებით ასრულებს.

ადრესი ტფილისის გარეშე მცხოვრებელთათვის:

ТИФЛИСЪ.

Первая Кавказская лаковая, сургучная и политурная фабрика.

*Елизаветинская ул., домъ Читахова, № 25.* (20—3)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია და წიგნთ-საცავი ღიაა ყოველ-დღე 11—2 საათამდე შუა-დღის უკან; ხოლო კვირა-უქმეობით 12—1 საათამდე.

დავიწყეთ გაყიდვა სრულიად ახალის შვედურის სანთლისა, რომელიც ბევრად განკარგებულია და გაუმჯობესებული, თეთრი ალი აქვს და ფრიად იაფადაც ღირს. ნარდად მყიდველთ ბევრი დაითმობათ.

ქარხანა

გ. ბ. ტერ-ასატუროვისა და კო.

ვერაზე, ტფილისის ქალაქში. (50—10)

Годъ VI. Годъ VI.

Въ городѣ Карсѣ,

Карсской Области

ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА ГАЗЕТУ

„КАРСЪ“

НА БУДУЩІЙ 1888 ГОДЪ.

*Газета „Карсъ“ въ 1888 году будетъ издаваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ и въ текущемъ году, по той-же программѣ и подъ тою-же редакціею.*

**Условія подписки:** Съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, за четыре мѣсяца одинъ рубль.

Подписка принимается въ редакціи газеты „Карсъ“, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству.



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ივერია“

1888 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით | 10 მ. — კ. | 6 | თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 | „ | 9 „ 50 › | 5 | „ | 5 „ 25 › |
| 10 | „ | 8 „ 75 › | 4 | „ | 4 „ 75 › |
| 9 | „ | 8 „ — › | 3 | „ | 3 „ 50 › |
| 8 | „ | 7 „ 25 › | 2 | „ | 2 „ 75 › |
| 7 | „ | 6 „ 50 › | 1 | „ | 1 „ 50 › |

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

*Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.*

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი —60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამს საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა, № 9.


Дов. цен. Тиф. 17 декабря, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.